მედიევისტიკა

1. **განათლება და ინტელექტუალები შუა საუკუნეებში**
   Education and Intellectuals in the Middle Ages

   სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს, შეისწავლონ შუა საუკუნეების ევროპის საგანმანათლებლო პოლიტიკის, განათლების სხვადასხვა საფეხურის თავისებურებები, დასავლური განათლების მნიშვნელოვანი მომენტები და დასავლელი ინტელექტუალების მსოფლმხედველობა და იდეები; მათ გავლენა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

2. **კათოლიკური ეკლესია და პაპობა შუა საუკუნეებში**

   Catholic Church and Papacy in the Middle Ages

   სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს, შეისწავლონ შუა საუკუნეებში პაპობის ისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენები, კათოლიკური ეკლესიის თავისებურებები და მისი გავლენა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაზე.

3. **ანტიკურობიდან შუა საუკუნეებისაკენ**
   From the Antiquity Toward Middle Ages

   სასწავლო კურსი ხელს შეუწყობს მაგისტრანტებს, შეისწავლონ ევროპის შუა საუკუნეების ცივილიზაციის ზოგადი მახასიათებლები, შუა საუკუნეების ისტორიის ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა რეგიონების შესაბამისად. როგორც მისი წანამძღვრები, ასევე ეთნიკური ელემენტები, გეოგრაფიული გარემო და სხვა სოციალური ფენომენი. ასევე, შუა საუკუნეების ზოგადი განმარტების შესწავლის საფუძველზე საქართველოს ადგილის განსაზღვრა შუა საუკუნეების ცივილიზაციაში.

4. **დასავლეთი და აღმოსავლეთი: შედარებითი კვლევის საფუძვლები**

   The West and the East: Foundations of Comparative Research

   სასწავლო კურსი მოიცავს შედარებითი კვლევის პრობლემებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ოპოზიციას. პრობლემა წარმოდგენილია ქრონოლოგიური პრინციპით. ცნებების დასავლეთისა და

აღმოსავლეთის გაგება. სასწავლო კურსში წარმოდგენილია შუა საუკუნეების საზოგადოებრივი ფენები და ინსტუტები სხვადასხვა სივრცეში- აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპასა და ისლამურ სამყაროში.

5. **აღორძინების ხანის ევროიმპერია: მტრობა თუ თანამშრომლობა?**

Renaissance Period Europe and Ottoman Empire: Rivalry or Cooperation?

აღნიშნული სალექციო კურსი, რომელიც მოწოდებულია როგორც ინტერდის-ციპლინური არჩევითი კურსი ჰუმანიტარული ფაკულტეტის შიგნით არსებული ყველა მიმართულების სტუდენტებისათვის, მოიცავს ევროპის ქვეყნებისა და ოტომანების ურთიერთობის ისტორიას XV-XVI საუკუნეებში.

6. **ახალი აღთქმა და მისი ქართული თაგრმანის საკითხები**

New Testament and It's Georgian Translations

სასწავლო კურსის ფარგლებში მაგისტრანტები შეისწავლიან ახალი აღთქმის ტექსტის სტრუქტურისა და ისტორიის ძირითად საკითხებს, გაეცნობიან სახარება-ოთხთავის, სამოციქულოსა და გამოცხდების ქართული თარგმანის რედაქციებსა და ძირითად ხელნაწერებს.

7. **ბიზანტიური ცივილიზაცია (ძირითადი მახასიათებლები და თავისებურებანი)**

The Byzantine Civilisation (Main Characteristics and Peculiarities)

სასწავლო კურსი მიზნად ისახავს ბიზანტიის სახელმწიფოსა და ბიზანტიური საზოგადოების დამახასიათებელი თავისებურების, აღმოსავლეთ მედიევალური ქრისტიანული სამყაროს შესწავლას. განსაზღვრულია ბიზანტიური სახელმწიფოს მართვის სისტემის, სამართლის, დიპლომატიის საერო და სასულიერო ხელისუფლებათა ურთიერთდამოკიდებულების თავისებურებათა საკითხების, ბიზანტიური აზროვნების ფორმისა და მისი თავისებურებანის; ბიზანტიისა და ისლამური სამყაროს; ბიზანტიისა და კათოლიკური სამყაროს შესწავლა.

8. **ინტენსიური კურსი ძველბერძნულ ენაში**

Ancient Greek – Intensive Course

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწვლიან ბერძნული ენის გრამატიკასა და საფუძვლებს ინტენსიური სწავლების მეთოდის გამოყენებით.

9. **ინტენსიური კურსი ლათინურ ენაში**

Latin – Intensive Course

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ლათინური ენის გრამატიკასა და საფუძვლებს ინტენსიური სწავლების მეთოდის გამოყენებით.

10. **ისტორიული პროცესი და კულტურის კვლევები: მეთოდოლოგიური საფუძვლები**
Historical Process and Cultural Studies: Metodological Framework

კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან ისტორიული პროცესის კულტურული კონტექსტის როლსა და მნიშვნელობას, მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, რომელთაც დაემყარა კულტურის კვლევათა ისტორიული დისკურსი, ძირითადი მიმდინარეობები და დისკუსია სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომის წარმომადგენელთა შორის. სასწავლო კურსში აქცენტირებულია კულტურის ფენომენის ისტორიული კვლევის სფეროში დაგროვილი მეთოდოლოგიური გამოცდილება.

11. **ნეოპლატონზმი: მეტაფიზიკასა და ცხოვრების წესს შორის**
Neoplatonism: Between Metaphysics and the Way of Life

სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ანტიკური ნეოპლატონიზმის ძირითადი კომპონენტების ურთიერთმიმართებებს: ონტოლოგიის, გნოსეოლოგიის და ანთროპოლოგიის კავშირს.

12. **შუა საუკუნეების საგანმანათლებლო და სამწერლობო ცენტრები სირიაში, ედესისა და ნისიბინის აკადემიები (I)**

Medieval Educational and Literary Centres in Syria. Edessa and Nisibin Academies (I)

სასწავლო კურსი მაგისტრანტებს შეასწავლის შუა საუკუნეების საგანმანათლებლო და სამწერლობო ცენტრების შესახებ სირიაში. სირიული უმაღლესი სკოლა – შუა საუკუნეების უნივერსიტეტი – ცნობილი იყო ბიზანტიასა და ლათინურ დასავლეთში. თავისი წარმომავლობით ის დაკავშირებული იყო ანტიკურობასთან, ბერძნულ ტრადიციებთან. ლექციების კურსში ასახულია, თუ რაოდენ დიდი გავლენა იქონიეს ნისიბინისა და ედესის აკადემიებიდან გამოსულმა ნესტორიანმა და იაკობიტმა მწიგნობრებმა და მათმა ლიტერატურულმა მოღვაწეობამ აღმოსავლეთის იდეოლოგიაზე. მაგისტრანტები შეისწავლიან სირიულ ენაზე შექმნილ საეკლესიო, ფილოსოფიურ და სხვა სახის ლიტერატურას, წაიკითხავენ და თარგმნიან შუა საუკუნეების უნივერსიტეტის უძველესი წესდების "ნისიბინის აკადემიის სტატუტების" სირიულ ტექსტს.

13. ნიდერლანდების რევოლუცია

The Dutch Revolt

სასწავლო კურსის ფარგლებში სტუდენტები გაეცნობიან და შეისწავლიან ევროპის ისტორიაში პირველი ბუჟუაზიული რევოლუციის წარმოშობის მიზეზებსა და შედეგებს.

14. პალეოგრაფია, კოდიკოლოგია

Paleography, Codicology

კურსის ფარგლებში მაგისტრანტები საფუძვლიანად შეისწავლიან პალეოგრაფიისა და კოდიკოლოგიის თეორიულ საკითხებს (დამწერლობის წარმოშობა, დამწერლობის ტიპები, საწერი საშუალებები, ხელნაწერი წიგნის შემადგენელი ნაწილები, გადაწერის მეთოდები, ხელნაწერი წიგნის დამზადების ტექნოლოგია, სკრიპტორიუმები, ხელნაწერთსაცავები და კატალოგები, ძველი ხელნაწერებში გამოყენებული პუნქტუაცია, განკვეთილობის ნიშნები, პირობითი და ტექნიკური სიმბოლოები და სხვ.); სრულყოფილად დაეუფლებიან ქართული დამწერლობის ძველ სახეობებს (ასომთავრული, ნუსხური და ადრეული მხედრული), შეიძენენ ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების წაკითხვის, გაგებისა და გაანალიზების უნარი და ტექსტის გამოსაცემად მომზადებისთვის აუცილებელი პრაქტიკული ჩვევები.

15. **რელიგიური რეფორმები დასავლეთ ევროპაში, პროტესტანტიზმის წარმოშობა და ძირითადი მიმართულებები**
Religious reforms in Western Europe and Beginning of Protestantism

კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან პროტესტანტიზმის წარმოშობისა და გავრცელების ისტორიას, მის ნაირსახეობებსა და მათ როლს ეროვნული სახელმწიფოების მშენებლობის საქმეში.

16. **ფეოდალური საზოგადოება**
Feudal Society

სალექციო კურსის ფარგლებში განსაზღვრულია ფეოდალიზმის ჩამოყალიბების მატერიალური პირობების, მისი ეკონომიკისა და ადრეფეოდალური ეპოქის ჩასახვის პროცესის შესწავლა, ასევე ანტიკური და ბარბაროსული ცივილიზაციების ტრანსფორმაციისა და შერწყმის პროცესის შესწავლა. სტუდენტი შეისწავლის განვითარებული ფეოდალიზმის მთავარ მახასიათებლებს – ქალაქების ზრდას, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასა და ბიურგერული ფენის ჩამოყალიბებას. სამეფოს ახალი ფორმის – ფეოდალური მონარქიის აღმოცენებას თავისი წოდებრივი წარმომადგენლობით. ასევე განხილული იქნება გვიანფეოდალიზმის ეპოქა და ადრეკაპიტალისტური ურთიერთობების გენეზისი. ფეოდალური სახელმწიფოს მესამე ტიპი – აბსოლუტური მონარქია.

17. **შუა საუკუნეების ევროპაში პოლიტიკური აზროვნება და ურთიერთობანი**

Political Thought and Political Relations in the Medieval Europe

სასწავლო კურსში ასახულია დიპლომატიური ურთიერთობებისა და ეტიკეტის ჩამოყალიბების უაღრესად საინტერესო პროცესი, რომელიც უძველესი დროიდან იღებს სათავეს, თუმცა მისი განვითარება შუა საუკუნეების ისტორიის პერიოდს უკავშირდება. ასევე კურსი ასახავს პაპობის, ბიზანტიის, "ბარობაროსი" მეფეებიდან დაწყებული მთელი ფეოდალური სახელმწიფოების რთულ და საინტერესო დიპლომატიურ ურთიერთობებს. კურსი მოიცავს საკმაოდ საინტერესო პრობლემასაც; ესაა საელჩოების, საკონსულოების და მათი სტრუქტურების ჩამოყალიბება, დიპლომატიური ეტიკეტის გაჩენა.

18. **საქართველო, ევროპა და მონღოლები (XIII-XIV სს-ში)**

Georgia, Europe and Mongols (XIII-XIVcc.)

კურსის გავლის შემდეგ მაგისტრანტები ახლებურად გაიაზრებენ საქართველოს მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის ისტორიას XIII-XIV სს-ში. ასევე „მონღოლობის“ არსს. ახლებურად იქნება გააზრებული ქართული ნარატიული წყაროების (თამარის ისტორიკოსები, ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ე. წ. ჟამთააღმწერლის ასწლოვანი მატიანე „ახალი ქართლის ცხოვრების“ მატიანეები) იდეოლოგია და მათ მიერ მოწოდებული ფაქტობრივი მასალა. ცალკე იქნება გაანალიზებული ვახუშტი ბატონიშვილის თხზულების შესაბამისი ადგილები და ფარსადან გორგიჯანიძის „ისტორიის“ ღირებულება, XIII-XIV სს. ისტორიის რეკონსტრუქციისათვის.

19. საფრანგეთი კაპეტინგების დინასტიის ეპოქაში

France in the epoch of Capetian Dinasty

სასწავლო კურსის მიხედვით განსაზღვრულია საფრანგეთის სამეფოს ჩამოყალიბების რთული და ხანგრძლივი პროცესის შესწავლა, რომელიც კაპატინგების დინასტიამ განახორციელა. გააშუქებულია ამ დინასტიის მეფეების დამოკიდებულება მსხვილ ფეოდალებთან, რთული და კონფლიქტური ურთიერთობები ეკლესიასა და პაპობასთან, ასევე ქალაქ-კომუნებთან. კურსი სტუდენტებს სთავაზობს კაპეტინგური ადმინისტრაციის დამყარების, სამეფო კარის მოხელეთა ფენის ჩამოყალიბების შესწავლას.

20. შუა საუკუნეების საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია და სხვა კონფესიები საქართველოში

Orthodox Church and the other Confessions in Medieval Georgia

სასწავლო კურსის ფარგლებში საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის ისტორია შეისწავლება სხვა კონფესიებთან მიმართებით. წარმოჩენილია ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე მდებარე საქართველოს მრავალფეროვანი კულტურა და საქართველოს ტერიტორიაზე შუა საუკუნეებში სხვადასხვა რელიგიათა თანაარსებობის ტრადიციები. როგორი იყო სხვადასხვა კონფესიის

თანაარსებობა შუა საუკუნეებში, რა სახის დაპირისპირებანი არსებობდა მათ შორის, როგორი იყო სხვადასხვა კონფესიათა წარმომადგენლების როლი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე.

21. თანამედროვე მედიევისტიკა (კვლევის მეთოდები, ფორმები და პერსპექტივები)

Contemporary Medieval Studies (Research Methods, Forms and Perspectives)

სასწავლო კურსი მაგისტრანტებს აძლევს ცოდნას მედიევისტიკის განვითარების გზების, ასევე კვლევის მეთოდებისა და ფორმების შესახებ, შუა საუკუნეების ძირითად მახასიათებლებისა და თავისებურებების შესახებ განმარტებას და, ასევე, პერიოდიზაციის პრობლემებს მედიევალური სივრცეების შესაბამისად; იძლევა ასევე დეტალურ ცოდნას შუა საუკუნეების წყაროთმცოდნეობისა და ისტორიოგრაფიის შესახებ. მედიევისტიკის თანამედროვე პრობლემებისა და მისი განვითარების პერსპექტივების შესახებ.